



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იბსენი ჰენრიკ იოჰან

იბსენი (Ibsen) ჰენრიკ იოჰან (20. III. 1828, შიენი, – 23. V. 1906, ქრისტიანია), ნორვეგიელი დრამატურგი, ეროვნული თეატრის ფუძემდებელი. ქ. გრიმსტადში დაწერა პირველი ლექსები და დრამა „კათილინა“ (1850). 1850 სასწავლებლად წავიდა ქრისტიანიაში, სადაც აქტიურად ჩაება საზ., პოლიტ. და ლიტ. ცხოვრებაში. 1852-57 ხელმძღვანელობდა ქ. ბერგენის პირველ ეროვნ. თეატრს.

ი-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა აქტიურ ფაზაში შევიდა 1849-99 წლებში. მისი შემოქმედების მწვერვალია ფილოს.-სიმბოლური დრამა „ბრანდი“ (1865) და „პერ გიუნტი“ (1866, დაიდგა 1876). საყოველთაოდ ცნობილი პიესებია: „ნორმა, ანუ პოლიტიკოსის სიყვარული“ (1851), „სიყვარულის კომედია“ (1862), „საზოგადოების ბურჯი“ (1877), „თოჯინების სახლი“ (1879), „მოჩვენებანი“ (1881).

ი-ის დრამატურგიამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიო თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში. მისი პიესები წარმატებით იდგმება მსოფლიოს თეატრების სცენებზე. ქართ. საზ-ბა ი-ის შემოქმედებას მის სიცოცხლეშივე გაეცნო. 1898 ლ. ალექსი-მესხიშვილმა დადგა „ნორა“ („თოჯინების სახლი“), რ-იც თარგმნეს ვ. გუნიამ და ა. ცაგარელმა. ნორას როლს ასრულებდა ნ. ჩხეიძე, ჰელმერისას – ლ. ალექსი-მესხიშვილი. 1903 ჟურნ. „მოამბის“ №4-8 დაიბეჭდა ი. პოლუმორდვინოვის თარგმანი „ხალხის მტერი“ („ექიმი შტოკმანი“), რ-იც წარმოადგინა ქართ. დრამ. საზ-ბამ ა. წერეთლისა და კ. მესხის დადგმით. 1906 თეატრ. ამხანაგობის დასმა დადგა „მოჩვენებანი“ (მთარგმნელი და რეჟ. ვ. გუნია); 1914 „საზოგადოების ბურჯი“ წარმოადგინა ქართ. დრამ. საზ-ბის დასმა. იდგმებოდა სხვა პიესებიც. ქართ. პრესაში („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“) ხშირად წერდნენ ი-ის შესახებ კ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. ნათაძე და სხვ. 1928 ი-ის დაბადების 100 წლისთავთან

დაკავშირებით ჟურნ. „მნათობში“ №3 დაიბეჭდა ვ. ხუროძის წერილი, ამავე წელს – კ. გამსახურდიას ესეი „ჰენრიკ იბსენი“. 1972 რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში რეჟ. რ. სტურუამ დადგა „დოქტორი სტოკმანი“; 1974 კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში კი რეჟ. თ. ჩხეიძემ წარმოადგინა „მოჩვენებანი“.

ი-ის პიესები ამჟამადაც წარმატებით იდგმება ქართ. თეატრის სცენაზე.

თბზ.: Samlede vaerker, bd. 1-21, Oslo, 1928-57; Собр. соч., т. 1-4, М., 1956-58; დრამები (ბრანდი. – პერ გუნტი. – ნორა, ანუ თოჯინების სახლი. – მოჩვენებანი, – ხალხის მტერი. – ჰედა გაბლერი), დ. ლაშქარაძის წინასიტყვაობით, თბ., 1974.

ლიტ.: ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი თ., ჰ. იბსენი ქართულ სცენაზე «საბჭოთა ხელოვნება» 1956, N4; გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა კ., ჰ. იბსენი, წგ.: ახალი ევროპა, ტფ., 1924; გ ე ლ ო ვ ა ნ ი ა., ჰენრიკ იბსენი, თბ., 1957; ჯ ი ნ ო რ ი ა ო., ჰენრიკ იბსენი კვლავაც იბრძვის, «საბჭოთა ხელოვნება» 1960, №8; А д м о н и В. Г., Генрик Ибсен М., 1956.

მ. ტიტვინიძე
